



1508/3-114/22 2 18022022

1508/3-114/22

18-02-2022

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს,  
ბატონ კახა კალაძეს,

**ბატონო კახა,**

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ საქართველოს პარლამენტის წევრის კითხვით:

1. რა რაოდენობის სამედიცინო ნარჩენები წარმოიქმნება ყოველწლიურად ვეტერინარულ კლინიკებში?
2. რა რაოდენობის ნარჩენები წარმოიქმნება ყოველწლიურად ცხოველების დაძინების შედეგად და როგორ და რა სამართლებრივი საფუძვლების გათვალისწინებით ხდება მათი გადამუშავება და რა ხარჯებთან არის დაკავშირებული ?

**პატივისცემით,**

პარლამენტის წევრი  
ხატია წილოსანი



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია  
სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო



TBILISI CITY HALL  
LEPL ANIMALS MONITORING AGENCY



წერილის ნომერი: 73-01220692465  
თარიღი: 10/03/2022  
პინი: 0867

ადრესატი: საქართველოს პარლამენტი  
მისამართი: ქ. თბილისი რუსთაველის გამზ. #8

გადაამოწმეთ: [document.municipal.gov.ge](http://document.municipal.gov.ge)

**საქართველოს პარლამენტის წევრს,  
ქალბატონ ხატია წილოსანს**

ქალბატონო ხატია,

გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან 2022 წლის 18 თებერვალს #02-01220491714-01 წერილით განსახილველად გადმოგვზავნა თქვენი 2022 წლის 18 თებერვლის #1508/3-114/22 წერილი, სადაც ითხოვთ ინფორმაციას:

1. ვეტერინარულ კლინიკებში ყოველწლიურად წარმოქმნილი სამედიცინო ნარჩენების რაოდენობის შესახებ;
2. ყოველწლიურად ცხოველების დაძინების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის შესახებ, ასევე, აღნიშნული ნარჩენების გადამუშავების სამართლებრივი საფუძვლების და გადამუშავების ხარჯების შესახებ.

განგიმარტავთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო თავის საქმიანობას ახორციელებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის #7-28 დადგენილებით დამტკიცებული ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის საფუძველზე. აღნიშნული წესის თანახმად, სააგენტოს უფლებამოსილება ვეტერინარული კლინიკების საქმიანობაზე კონტროლთან დაკავშირებით გარკვეულწილად შეზღუდულია და პირდაპირ გათვალისწინებულია ის საკითხები და ვეტერინარული კლინიკების საქმიანობის ის კომპონენტები, რომლის კონტროლი სააგენტოს კომპეტენციას განეკუთვნება. ზემოაღნიშნული წესი არ ითვალისწინებს ვეტერინარული კლინიკების ვალდებულებას და სააგენტოს უფლებამოსილებას - ვეტერინარულ კლინიკებში წარმოქმნილი სამედიცინო, ასევე, ცხოველური ნარჩენების შესახებ სტატისტიკური მონაცემების ანგარიშის სახით დამუშავება-მიღების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ ინფორმაციას

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ცხოველთა თავშესაფრის საქმიანობის შედეგად ყოველწლიურად წარმოქმნილი სამედიცინო და ცხოველური ნარჩენების რაოდენობის/მოცულობის (ცხოველის სხეული, ან მისი სხეული ნაწილი) შესახებ 2021 წლის მაგალითზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს კუთვნილ ცხოველთა თავშესაფარში 2021 წლის განმავლობაში ევთანაზირებული ცხოველების საერთო მასამ შეადგინა დაახლოებით 6 ტონა. გარდა აღნიშნულისა, ბუნებრივი სიკვდილით გამოწვეული ცხოველების საერთო მოცულობამ შეადგინა დაახლოებით, 9 ტონა. ჯამურად, სააგენტოში ცხოველური ნარჩენის მოცულობამ შეადგინა დაახლოებით 15 ტონა.

სააგენტოს კუთვნილ ცხოველთა თავშესაფარში ჩატარებული ოპერაციებისა და მანიპულაციების დროს წარმოქმნილი სამედიცინო ნარჩენების მოცულობამ შეადგინა დაახლოებით, 5 ტონა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წლის განმავლობაში სააგენტოს კუთვნილ მუნიციპალურ ცხოველთა თავშესაფარში წარმოქმნება დაახლოებით 15-დან-20 ტონამდე ნარჩენი.

რაც შეეხება ცხოველების დაძინების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების გადამუშავების სამართლებრივ საფუძვლებს და გადამუშავების ხარჯებს გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო წარმოქმნილი ნარჩენების გადამუშავებასთან დაკავშირებით ხელმძღვანელობს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის #7-28 დადგენილებით დამტკიცებული ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით, რომლის თანახმად, „ევთანაზიის პროცედურების დასრულების შემდეგ ვეტერინარი უნდა დარწმუნდეს, რომ ცხოველი მკვდარია, რის შემდგომაც დასაშვებია ცხოველის ლეშის პათანატომიური გამოკვლევა, დამარხვა, კრემაცია, **ბიოთერმულ ორმოში მოთავსება**“.

იმის გამო, რომ სააგენტოს არ გააჩნია ინსინერაციის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, არ ახორციელებს ცხოველური ნარჩენის კრემაციას. ამასთან, სააგენტო უშუალოდ არ ახორციელებს მის სხვაგვარ გადამუშავებას და უზრუნველყოფს მის ტრანსპორტირებას და მოთავსებას ე.წ. ბიოთერმულ ორმოში, რომელიც მოწყობილია ლილოს დასახლება, მუნიციპალური ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე, სადაც ხდება მისი დამუშავება. აქვე გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო ცხოველური ნარჩენის გადამუშავების მომსახურებას იღებს უსასყიდლოდ.

ნიკოლოზ ქობულაძე

სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო-დირექტორი  
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

